



თემატური ჯგუფი - „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“

თემატური ჯგუფის სხდომის ოქმი №13

22 მარტი, 2012
თბილისი

თემატური ჯგუფი - „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“
თემატური ჯგუფის სხდომის ოქმი №13

თარიღი	ადგილი	დასაწყისი	დასასრული
22 მარტი, 2012	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	15:00	16:00

დღის წესრიგი
1. დღის წესრიგის განხილვა
2. წინა სხდომის ოქმის დამტკიცება
3. პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზის მიმოხილვა
4. კორექტირებული პროფესიული სტანდარტების განხილვა
5. სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების შესწავლის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (შპს „შავნაბადა“, შპს „დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-კოლეჯი“) გამოცდილების განხილვა

მონაწილეები			
სახელი, გვარი	დაწესებულება, თანამდებობა	ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი	სტატუსი
მარინა ჯვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი	marina.zhvania@eqe.ge 577 27 88 41	წევრი
კოტე ჩოკორაია	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი	kote.chokoraia@eqe.ge 577 27 88 83	მონაწილე
ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების	Lali.shaishmelashvili@eqe.ge 577 27 88 49	მონაწილე

თემატური ჯგუფი - „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა“
 თემატური ჯგუფის სხდომის ოქმი №13

	აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე		
ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი	k.panchulidze@eqe.ge 577 27 88 43	წევრი
ნანი დალაქიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	nani.dalakishvili@eqe.ge 577 17 55 77	წევრი
ლალი ღოდელიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი	lali_gtu@gtu.ge 599 70 44 99	წევრი
ლელა წიფურია	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი	lelatsiphuria@yahoo.com 599 65 49 80	წევრი
მათე ტაკიძე	თბილისის ტურიზმის პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“, დირექტორი	takidze@rambler.ru 577768866	მონაწილე

შედეგები/კომენტარები/წინადადებები

1. დღის წესრიგის განხილვა

დასკვნები და ქმედებები:

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

2. წინა სხდომის ოქმის (ოქმი №12. 29.02.2011) დამტკიცება

დასკვნები და ქმედებები:

დამტკიცდეს წინა სხდომის ოქმი - ოქმი თან ერთვის

3. პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზის მიმოხილვა

რეზიუმე:

ქეთევან ფანჩულიძემ და პროგრამისტმა ოთარ მესხმა დამსწრეებს გააცნეს პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზის საცდელი ელექტრონული ვერსია, რომელიც განთავსებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე (http://www.eqe.ge/geo/os_reester_test), მონაცემთა ბაზაში მიმართულებების მიხედვით განთავსებულია თითოეული სტანდარტი დასახელებით, კოდით, დამტკიცების ბრძანებით (მითითებულია ბრძანების ნომერი და თარიღი), დეტალურადაა ინფორმაცია სტანდარტის წარმომდგენი ორგანიზაციისა და კვალიფიკაციის დონეებისა და შესაბამისი კრედიტების შესახებ. ამ ეტაპზე ბაზაში უკვე დამტკიცებული 226 სტანდარტია. საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდეგ პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის (ექსპერტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლები და მომხმარებლები, დაინტერესებული პირები).

შენიშვნები:

მოსაზრებები გამოთქვეს მარინა ჟვანიამ, ლალი ღოღელიანმა, მათი აზრით, აუცილებელია ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს სტანდარტის ტექსტიც.

დასკვნები და ქმედებები:

- პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზის საცდელი ვერსია განთავსდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე

საზოგადოებრივი განხილვისთვის და მისი საბოლოო ვერსია შემუშავდეს შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით.

4. კორექტირებული პროფესიული სტანდარტების განხილვა

რეზიუმე:

ქეთევან ფანჩულიძემ დამსწრეებს გააცნო ინფორმაცია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა რამოდენიმე სფეროს მიმართულებით პროფესიული სტანდარტების გადახედვისა და გაუმჯობესების მიზნით დაგეგმა განსახორციელებელი საქმიანობები. სტანდარტების განახლება/გამჯობესება განხორციელდა შესაბამისი დარგობრივი კომიტეტების მონაწილეობით. დარგობრივი კომიტეტების შემადგენლობაში შედიოდნენ პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები და დამსაქმებლები.

ჯანდაცვის მიმართულების დარგობრივი ჯგუფის სხდომაზე, გადაწყდა ცვლილებების განხორციელება 'ექთნის თანაშემწის', 'ფარმაცევტის თანაშემწის' და 'მასაჟისტის' სტანდარტებში

'ექთნის თანაშემწის' სტანდარტში დაკონკრეტდა და შეიცვალა სფეროს აღწერისა და დასაქმების სფეროს პუნქტები. დარგობრივი ჯგუფის სხდომაზე, ჯგუფის წევრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მოსაზრებით, სტანდარტის მეორე საფეხურზე არსებული მწირი კომპეტენციების გამო სპეციალისტის დასაქმება გაძნელდება. ამ მოსაზრების საფუძველზე დარგის სპეციალისტთა გადაწყვეტილებით, სტანდარტის მეორე და მესამე საფეხურის კომპეტენციები გაერთიანდა და აღნიშნულ სპეციალიზაციას დაეთმო პროფესიული განათლების მხოლოდ მესამე საფეხური. ასევე შეიცვალა სტანდარტის დასახელება: ნაცვლად დასახელებისა "ექთნის თანაშემწე (მომვლელი, მიძა, გერიატრია)" დარგობრივი კომიტეტის გადაწყვეტილებით სტანდარტს და შესაბამისად, პროფესიულ სპეციალიზაციას უნდა ეწოდოს "ექთნის თანაშემწე". (დარგობრივი კომიტეტის 2011 წლის 5 სექტემბრის ოქმი).

ასევე კორექტირება განიცადა 'ფარმაცევტის თანაშემწის' სტანდარტმა, დაზუსტდა დასაქმების სფერო, აღნიშნულ პროფესიაზე პროგრამის ხანგრძლივობის მინიმუმი გადაწყდა განისაზღვროს 60 -ის ნაცვლად 120 კრედიტი. დაკონკრეტდა და დაემატა კომპეტენციები სტანდარტის ექვსივე პუნქტში (ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები).

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი "თბილისი - SPA" ჯანმრთელობის და სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით 'მასაჟისტის' სტანდარტის სფეროს აღწერის პუნქტში განისაზღვრა დარგის ის მიმართულებები (სამკურნალო მასაჟი, სპორტული მასაჟი, ჰიგიენური მასაჟი), რომლებიც

მოთხოვნადია დღევანდელ ბაზარზე. პროფესიულ სტანდარტის თითოეულ საფეხურზე (III, IV, V) განხორციელდა არსებული კომპეტენციების დაზუსტება/დაკონკრეტება და ახალი კომპეტენციების დამატება.

ინჟინერიის მიმართულებით, დარგის სპეციალისტების მიერ მოხდა 'პოლიგრაფისტის' სტანდარტის გადახედვა. 2011 წლის 11 ოქტომბერს ინჟინერიის დარგობრივი ჯგუფის სხდომაზე განხილულ იქნა 'პოლიგრაფისტის' სტანდარტში განსახორციელებელი შემდეგი ცვლილებები, კერძოდ: გადაწყდა რომ შეიცვალოს სტანდარტის დასახელება 'პოლიგრაფიული მრეწველობის სპეციალისტი' - ით. (აღნიშნული ცვლილება შესაბამისად იწვევს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში არსებული პროფესიული სპეციალიზაციის ცვლილებას); დაკონკრეტდა სფეროს აღწერის პუნქტში ბეჭდვითი პროდუქციის წარმოების სხვადასხვა მიმართულებები, როგორცაა ჟურნალ-გაზეთების წარმოება, წიგნის წარმოება, სარეკლამო პროდუქციის წარმოება, სამრეწველო პროდუქციის წარმოება, სპეციალური ნაბეჭდი პროდუქციის წარმოება; არსებული სამ საფეხურს (III, IV, V) დაემატა ერთი საფეხური და გადაწყდა, რომ აღნიშნული სპეციალიზაცია უნდა მოიცავდეს პროფესიული განათლების პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე საფეხურებს; დაკონკრეტდა და დაემატა დარგობრივი კომპეტენციები თითოეული საფეხურის მიხედვით.

2011 წლის ნოემბრის თვეში, ETF - ის პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით ჩატარდა კონსულტაციები პროფესიული სტანდარტების შემუშავებასა და დახვეწის მიმართულებით. დაიგეგმა 'ელექტრომექანიკოსის' და 'ბუღალტრის' სტანდარტებში ცვლილებების შეტანა. აღნიშნული მიმართულებებით შეიქმნა ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტდნენ პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების წარმომადგენლებით, დარგის სპეციალისტებითა და დამსაქმებლებით. ორივე სტანდარტში დაკონკრეტდა და დაემატა ის კომპეტენციები, რომლებიც ძირითადად დღევანდელი დასაქმების ბაზარზე არსებული საჭიროებებითა და მოთხოვნებით არის გამოწვეული. კორექტირებული სტანდარტების პროექტები განთავსდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე საზოგადოებრივი განხილვისთვის და გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადდება დასამტკიცებლად.

შენიშვნები:

მოსაზრებები გამოთქვეს მარინა ჟვანიაშვილი, ლალი შაიშმელაშვილი, ლალი ლოღელიანი, მათი ინფორმაციით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებზე აგებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ერთწლიანი გამოცდილების შემდეგ, დაწესებულებებში გაჩნდა მოსაზრებები პროფესიულ სტანდარტებში გარკვეული კორექტივების შეტანის შესახებ, ამდენად სავსებით მოსალოდნელია უახლოეს პერიოდში, თვითშეფასების პროცესის დაწყებამდე დარგობრივი

კომიტეტების სხდომებზე მოხდეს კორექტირებული სტანდარტების შეთანხმება, განსაკუთრებით ინჟინერიის სფეროს სტანდარტები.

დასკვნები და მოქმედებები:

- გააქტიურდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობა პროფესიული სტანდარტების კორექტირების მიმართულებით.
- კორექტირებული სტანდარტების პროექტები განთავსდეს ცენტრის ვებ-გვერდზე კორექტირების პროცესში დაინტერესებული მხარეების გაფართოებული ჩართვის უზრუნველსაყოფად.

5. სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების შესწავლის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (შპს "შავნაბადა", შპს "დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-კოლეჯი") გამოცდილების განხილვა

რეზიუმე:

ნანი დალაქიშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია, რომელიც ასახავს სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების შესწავლის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (შპს "შავნაბადა", შპს "დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-კოლეჯი") გამოცდილებას. დასახელებული საგანმანათლებლო დაწესებულებები 2010 წლის სექტემბერში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებამდე ფუნქციონირებდნენ როგორც სახელობო სასწავლებლები და პარალელურად ჰქონდათ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის უფლება, ამდენად ჰყავდათ მოსწავლეები, რომლებიც პარალელურად სწავლობდნენ ორივე პროგრამაზე. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ შეიცვალა ამ სასწავლებლების ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ გაიარეს ავტორიზაცია როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებმა, რომლებიც დამატებით ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. საინტერესოა მათი ადრინდელი და მიმდინარე გამოცდილების შედარება. შპს პროფესიული სწავლების ცენტრი "შავნაბადა" 2009 წლის 13 აპრილს მიღებული ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებდა 12 სახელობო პროგრამას, სასწავლებელი აღჭურვილი იყო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სტუდენტთა პრაქტიკა ხორციელდებოდა შესაბამისი პროფილის საწარმოებში. მცირე კონტინგენტის და შესაბამისად, მწირი შემოსავლების გამო მატერიალური ბაზის რეაბილიტაციისა და აღჭურვისათვის პროფესიული სწავლების ცენტრს ბანკიდან კრედიტის აღება მოუხდა, პრობლემა იყო ყოველთვიური საიჯარო თანხის გადახდა და ამ პრობლემებიდან გამომდინარე

ჭირდა დირექციისა და ინსტრუქტორ-მასწავლებლებისთვის ხელფასის გადახდა. 2011 წლის 19 აგვისტოს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით შპს „შავნაბადას“ უფლება მიეცა განხორციელოს სხვადასხვა საფეხურის შემდეგი პროფესიული პროგრამები:

- ავტომობილის ძრავის შემკეთებელი
- ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსი
- ავტომობილის დიაგნოსტიკოსი
- ავტომობილის ზეინკალი
- ავტომობილის მეთუნე-მღებავი.

სკოლის დირექტორის ინფორმაციით, პარალელურ რეჟიმში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებით შპს დამოუკიდებელ საერო სკოლა-გიმნაზია „შავნაბადას“ გაუადვილდა ფუნქციონირება. კერძოდ,

- აღარ არის საჭირო იჯარის გადახდა
- შენობა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მთლიანად ემსახურება ორივე კატეგორიის სტუდენტებსა და მოსწავლეებს
- დირექციას და ადმინისტრაციას შეუთავსდა ორივე ფუნქცია და ამდენად აღარ არის საჭირო დამატებითი სახელფასო ფონდი
- გაიზარდა მშობელთა დაინტერესება პროფესიული განათლების მიმართ, გიმნაზიაში ჩატარებულმა მშობელთა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ მშობელთა უმრავლესობა დაინტერესებულია შვილს ზოგად განათლებასთან ერთად პარალელურად მისცეს პროფესიული განათლებაც.
- სკოლები, რომლებიც ზოგად განათლებასთან ერთად მოსწავლეებს პროფესიულ განათლებასაც სთავაზობენ, უფრო პრესტიჟული და მიმზიდველია, თუმცა სასწავლო პროგრამების არჩევისას სკოლამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები.

ასევე, წარმოდგენილ იქნა შპს „წმიდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის“ დირექტორის (ირინე ზედგენიძე) მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც მათ კოლეჯში მეთაურ-მეთერთმეტე კლასების მოსწავლეთათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის არჩევითი და დამატებითი საგნების კომპონენტის ფარგლებში, XII კლასში კი პროფესიული პროგრამა ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის პარალელურად.

დირექტორის ინფორმაციით,

1. X, XI კლასებში ზოგადი განათლების პროფესიულ განათლებაში ინტეგრირება შესაძლებელია:

ა) არჩევითი და დამატებითი სავალდებულო საგნების საათების სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საათობრივ ბადეში ასახვით. აღნიშნული საათები

შესაბამისობაშია სავალდებულო საათების რაოდენობასთან და არ აღემატება აუცილებელი კვირეული დატვირთვის ოდენობას

ბ) ასეთი წესით შერჩეული არჩევითი და სავალდებულო დამატებითი საგნების საათების ოდენობა ძირითადად შესაბამისობაშია პროფესიული პროგრამების (I, II) სასწავლო გეგმასთან, რაც გვამძლევს საშუალებას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის გამოყენებით ვუდიაროთ I და II საფეხურის ფარგლებში პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნა, უნარი და ღირებულება.

2. XII კლასში სასწავლო პროცესი პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს: სკოლა + III საფეხურის პროფესიული პროგრამა.

თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილ იქნა სასწავლო გეგმებიც. (ოფის მენეჯერის III საფეხურის პროფესიული პროგრამის მაგალითზე).

ასეთი ტიპის სკოლა მოსწავლეს აძლევს:

ა) სკოლის ფარგლებში სპეციალობის სწორი არჩევანისა და დაგეგმვის საშუალებას;

ბ) სამუშაო ბაზარზე სწრაფ დასაქმებას;

გ) XII კლასის საატესტატო გამოცდების არ ჩაბარების შემთხვევაში საშუალო საფეხურის დასრულების ცნობის მიღებას. (მონდომების შემთხვევაში, მომდევნო წელს მოსწავლეს საშუალება აქვს ჩააბაროს საატესტატო გამოცდები, რასაც ვერ უზრუნველყოფს საბაზო განათლება).

დ) წარმატებული კურსდამთავრებული სწავლის დასრულების შემდეგ იღებს საშუალო განათლების ატესტატს და იმავდროულად სპეციალობაში მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამის პროფესიულ დიპლომს.

შენიშვნები:

მარინა ჟვანიას მოსაზრებით, სასურველია შესწავლილ იქნას და გაანალიზდეს ყველა იმ სკოლის გამოცდილება, ვინც პარალელურ რეჟიმში ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებს

დასკვნები და მოქმედებები:

შესწავლილ იქნას და გაანალიზდეს ყველა იმ სკოლის გამოცდილება, რომლებიც პარალელურ რეჟიმში ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებს .